

რაინერის დრეკადი მასალებისათვის იერარქიული მათემატიკური მოდელების აგება



ნაშრომი წარდგენილია გამოყენებითი მათემატიკის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის
მოსაპოვებლად

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

გამოყენებითი მათემატიკა

მაგისტრანტი: მარიამ კოხრეიძე

ხელმძღვანელი: სრული პროფესორი გიორგი ჯაიანი

თბილისი

2023

სარჩევი

ანოტაცია	2
შესავალი	2
1 დამხმარე მასალები	5
1.1 რაინერის დრეკადი მასალის ველის განტოლებები \mathbb{R}^3	5
1.2 სხეულის(გარემოს) გეომეტრია	7
1.3 მათემატიკური მომენტები ¹	10
2 იერარქიული მოდელის აგება	15
2.1 უსასრულო სისტემა	15
2.2 N – ური მიახლოება	23
2.3 $N=0$ მიახლოება	26
2.4 $N=1$ მიახლოება	27
2.5 რაინერის დრეკადი პრიზმული გარსები ხარისხოვანი წამახვილებით	29
3 დასკვნა	32
4 ციტირებული ლიტერატურა	33
5 აღნიშვნების ნუსხა	35

¹მკითხველისათვის მოხერხებული პირობების შესაქმნელად აქ, როგორც დამხმარე მასალა, სრულად მოგვეყავს § 10 გ.ჯაიანი[27]-დან (იხ. გვ.77-80, სადაც რეკურენტული ფორმულებიდან მიღებული ი.ვეკუას უსასრულო ჯამის სახით ჩაწერილი ფორმულები შეცვლილია სასრული ფორმის ცხადი ფორმულებით),იხ. აგრეთვე I.Vekua [1],I.Vekua [28],

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განზომილების რედუქციის ილია ვეკუას მეთოდის გამოყენებით, აგებულია იერარქიული მოდელები რაინერის დრეკადი მასალის სხეულებისთვის, გარკვეული აზრით გაწრფივებულ კონსტიტუციურ დამოკიდებულებების შემთხვევაში. სხეულს(გარემოს) უკავია პრიზმული გარსისნაირი არე $\Omega \subseteq \mathbb{R}^3$ ლიპშიცური და არალიპშიცური საზღვრით. დასმულია საწყის-სასაზღვრო ამოცანები N -ურ მიახლოებაში. განხილულია წამახვილებული პრიზმული გარსის შემთხვევაში სასაზღვრო პირობების Ω -ს $\omega \subseteq \mathbb{R}^2$ პროექციის საზღვარზე დასმის თავისებურებები.

Annotation

The present master work is devoted to construction, using I.Vekua's dimension reduction method, for the Reiner elastic bodies, in the some sense linearized case. The shell-like domain $\Omega \subseteq \mathbb{R}^3$ with both Lipschitz and Non-Lipschitz boundaries is occupied by the Reiner elastic material. In the N -th approximation initial-boundary value problems are posed. The peculiarities of settling the boundary conditions for cusped prismatic shells is discussed in the projection $\omega \subseteq \mathbb{R}^2$ of Ω

შესავალი

მეოცე საუკუნის 50-იან წლებში დასაბამი მიეცა წამახვილებული პრიზმული გარსების, კერძოდ, ფირფიტების კვლევას, სახელდობრ, 1955 წელს ი. ვეკუამ (იხ. [1]) წამოჭრა დრეკადი წამახვილებული ფირფიტების შესწავლის საკითხი, როცა ფირფიტის სისქე მთელ საზღვარზე ან მის ნაწილზე ნული ხდება (მან იმ ფირფიტებს და გარსებს, რომელთა სისქე საზღვარზე ნული ხდება „წამახვილებული“ ფირფიტები და გარსები უწოდა). პრაქტიკაში ასეთი ფირფიტები და ღეროები ხშირად გვხვდება სივრცულ კონსტრუქციებში ნაწილობრივ ჩამაგრებული ნაპირებით, როგორცაა, მაგალითად, სტადიონების სახურავები, თვითმფრინავების ფრთები, წყალქვეშა ნავების ფრთები და ა.შ., გარდა ამისა მანქანათმშენებლობაში (საჭრელი და სარანდავი ჩარხები), კოსმონავტიკაში, ტურბინებში და სხვა საინჟინრო სფეროებში (მაგალითად, კაშხლებში). წამახვილებული ფირფიტების მიერ დაკავებული არეები, თუ მათ განვიხილავთ, როგორც სამგანზომილებიანს, წარმოადგენენ სამგანზომილებიან არეებს, საზოგადოდ, არალიპშიცური საზღვრებით. ამ ამოცანას მათემატიკურად მივყავართ რიგის გადაგვარების მქონე განტოლებებისა და

სისტემებისათვის სასაზღვრო ამოცანების (ელიფსური ტიპის განტოლებებისა და სისტემებისათვის) და საწყის-სასაზღვრო ამოცანების (ჰიპერბოლური ტიპის განტოლებებისა და სისტემებისათვის) დასმისა და ამოხსნადობის გამოკვლევის საკითხამდე [შესაბამის გამოკვლევებთან დაკავშირებით იხ. მიმოხილვები [2],[3],[4]-ში აგრეთვე ი. ვეკუას კომენტარები [1]-ში (გვ. 86)].

მეოცე საუკუნის 50-ან წლებში ი. ვეკუამ შემოგვთავაზა ე.წ. პრიზმული გარსების, კერძოდ, ცვლადი სისქის ფირფიტების მათემატიკური მოდელი, რომელიც ეფუძნება სისქის ცვლადის მიმართ სამგანზომილებიანი წრფივი დრეკადობის თეორიის გადაადგილების ვექტორის, ძაბვის და დეფორმაციის ტენზორების ფურიე-ლეჟანდრის ორთოგონალურ მწკრივებად გაშლას. გამლის პირველი $N + 1$ წევრის შენარჩუნებით მან შემოიღო ე.წ. N -ური მიახლოება და განსაზღვრა შესაბამისი ორგანზომილებიანი მოდელის იერარქია. ყოველი ეს მიახლოება $N = 0, 1, \dots$ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც პრიზმული გარსების დამოუკიდებელი მოდელი. 60-იან წლებში ი. ვეკუამ [5] განავითარა ანალოგიური მათემატიკური მოდელი თხელი დამრეცი გარსებისათვის. ფირფიტებსა და გარსებთან დაკავშირებული ყველა მისი შედეგი თავმოყრილია მის მონოგრაფიაში [6]. ი. ბაბუშკას, დ. გორდეზიანის, ვ. გულიაევის, ი. ხომას, თ. მეუნარგიას, კ. შვაბის, თ. ვაშაყმაძის, ვ. ჟღენცის და სხვათა შრომები (იხ. [2],[7-17] და იქ მითითებული ლიტერატურა) მიედვნა ი. ვეკუას მოდელის შემდგომ ანალიზს, სახელდობრ, მოდელირების და რიცხვითი ამონახსნის ცდომილების ზუსტ შეფასებას, მოდელის განზოგადებას არადამრეცი გარსებისათვის, ან იზოტროპულ შემთხვევას და სხვა. ამასთან, როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო, მან დასვა საკითხი ისეთი პრიზმული გარსების გამოკვლევის თაობაზე, რომელთა სისქე გარსის საზღვრის ნაწილზე ან მთელ საზღვარზე ნული ხდება (იხ. ი. ვეკუას კომენტარი [6]-ში (გვ. 86)). მან იმ ფირფიტებს და გარსებს, რომელთა სისქე საზღვარზე ნული ხდება „წამახვილებული“ ფირფიტები და გარსები უწოდა.

მართკუთხა კვეთის მქონე ღეროებისათვის იერარქიული მოდელები აგებულია გ. ჯაიანის მიერ, რისთვისაც მან ძაბვისა და დეფორმაციის ტენზორების და გადაადგილების ვექტორის კომპონენტები გაშალა ორმაგი ფურიე-ლეჟანდრის მწკრივად ღეროს სიგანისა და სისქის მიმართ([18]).

ზოგიერთი ამოცანა წამახვილებული ფირფიტებისა და ღეროებისათვის, რომელთა სისქე, ცხადია, ცვალებადია, გამოკვლეული იყო მ. მახოვერის, ა. ხვოლესის, ს. მიხლინის, გ. ჯაიანის, გ. ცისკარიშვილის, ნ. ხომასურიძის, გ. დევდარიანის, ს. უზუნოვის, ს. ნაგულესვარანის, ნ. ჩინჩალაძის და ს. ხარიბეგაშვილის შრომებში (იხ. [19] და მიმოხილვები [2],[18],[4]-ში და იქვე მითითებული ლიტერატურა). ამ ავტორების ნაშრომები ძირითადად ეძღვნება ხარისხოვანი ცვლადი სისქის მქონე ფირფიტების და ღეროების შესწავლას ბერნული-ვილერის ღეროების, კირსჰოფის ფირფიტების და ი. ვეკუას იერარქიული მოდელის ნულოვანი და პირველი მიახლოებების ბაზაზე.

[20]-ში მეუნარგიას განზომილების რედუქციის ი. ვეკუას მეთოდის გამოყენებით აგებული აქვს იერარქიული მოდელები გეომეტრიულად და ფიზიკურად არაწრფივი, არადამრეცი გარსებისთვის, [21]-ში ლიპშიცის არეების შემთხვევაში გ. ჯაიანმა, ს. ხარიბეგაშვილმა, დ. ნატროშვილმა და ვ. ვენდლანდმა აა-

გეს ორგანზომილებიანი იერარქიული მოდელები დრეკადი წამახვილებული პრიზმული გარსებისათვის. ვარიაციული მეთოდების გამოყენებით სათანადო წონიან ფუნქციონალურ სივრცეებში დამტკიცებულია არსებობისა და ერთადერთობის თეორემები შესაბამისი ორგანზომილებიანი სასაზღვრო ამოცანებისათვის. ამ ორგანზომილებიანი სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების საშუალებით აგებულია სამგანზომილებიანი არისათვის მიახლოებითი ამონახსნების მიმდევრობა. ეს მიმდევრობა სობოლევის H^1 სივრცეში კრებადია ამოსავალი სამგანზომილებიანი სასაზღვრო ამოცანის ამონახსნისაკენ. ცხადი სახით არის ამოწერილი ორგანზომილებიანი იერარქიული მოდელების შესაბამისი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემები ზოგადი ორთოგონალური სისტემისათვის და, კერძოდ, ლეჟანდრის პოლინომებისათვის.

შემთხვევებს, როცა პრიზმული გარსის სისქე საზღვარზე ნულდება მიეძღვნა ე. მახოვერის, ს. მიხლინის, ა. ხვოლესის, გ. ჯაიანის, დ. ნატროშვილის, ს. ხარიბეგაშვილის, ვ. ვენდლანდის [21], გ. ჯაიანი [15], ნ. ჩინჩალაძის [12], ნ. ჩინჩალაძის, გ. ჯაიანის [22] (იხ. აგრეთვე ნ. ჩინჩალაძე, რ. ჯილბერტი, გ. ჯაიანი, ს. ხარიბეგაშვილი, დ. ნატროშვილი [4]) და სხვათა შრომები. ნ. ჩინჩალაძის, გ. ჯაიანის, ბ. მაისტრენკოს და პ. პოდოლ-გუიდულის [23] მიერ იერარქიული მოდელების ფარგლებში შესწავლილი იყო წამახვილებულ პრიზმულ სხეულებში შინაგანი შეყურსული ძალების წარმოქმნის საკითხი. შემდგომში ი. ვეკუას მეთოდის განზოგადებით განხილული იყო დრეკადი ღეროების ერთგანზომილებიანი იერარქიული მოდელების აგების და გამოკვლევის საკითხები გ. ჯაიანის [2] და მ. და გ. ავალიშვილების [7-9] (იხ. აგრეთვე ნ. ჩინჩალაძე, რ. ჯილბერტი, გ. ჯაიანი, ს. ხარიბეგაშვილი, დ. ნატროშვილი [17]) მიერ. წამახვილებულ სტანდარტულ და პრიზმულ გარსებთან, ფირფიტებთან და ღეროებთან დაკავშირებით მიღებული შედეგები დაწვრილებით არის მიმოხილული გ. ჯაიანის [16] მონოგრაფიაში.

უფრო ვრცელი და დეტალური მიმოხილვა განზომილებების რედუქციის ი. ვეკუას მეთოდის, პრიზმული და სტანდარტული გარსების იერარქიული მოდელების, მათი მნიშვნელობის, წამახვილებების თავისებურებების, ნაპირზე სასაზღვრო პირობების დასმის არაკლასიკურობის თვალსაზრისით [იხ. [24]]

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია განზომილებების რედუქციის ილია ვეკუას მეთოდის გამოყენებით, ავად იერარქიული მოდელები რაინერის დრეკადი მასალის სხეულებისთვის, გარკვეული აზრით გაწრფივებულ კონსტიტუციურ დამოკიდებულებების შემთხვევაში, როცა სხეულს(გარემოს) უკავია პრიზმული გარსისნაირი არე $\Omega \subseteq \mathbb{R}^3$ ლიპშიცური და არალიპშიცური საზღვრით. განვიხილოთ წამახვილებული პრიზმული გარსის შემთხვევაში სასაზღვრო პირობების Ω -ს $\omega \subseteq \mathbb{R}^2$ პროექციის საზღვარზე დასმის თავისებურებები.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავლის, 2 თავის, 8 პარაგრაფის, დასკვნისა, ციტირებული ლიტერატურის 29 დასახელებისა და აღნიშვნების ნუსხისაგან.

1 დამხმარე მასალები

1.1 რაინერის დრეკადი მასალის ველის განტოლებები \mathbb{R}^3

ვთქვათ, $\Omega \in \mathbb{R}^3$ არის არე, რომელიც რაინერის დრეკად სხეულს უკავია.

მოძრაობის განტოლებები

$$X_{j,i,j} + \Phi_i = \rho \ddot{u}_i(x_1, x_2, x_3, t) \quad \begin{aligned} (x_1, x_2, x_3) &\in \Omega \subset \mathbb{R}^3, \\ t &> t_0, \quad i, j = \overline{1, 3} \end{aligned} \quad (1.1.1)$$

სადაც $X_{ij} \in C^1(\Omega)$ არის ძაბვის ტენზორის კომპონენტები (x_i ნორმალის მქონე ფართზე მოქმედი ძაბვის გეგმილი x_j ღერძზე); Φ_i არის მოცულობითი ძალის კომპონენტები; ρ სიმკვრივე; $u_i \in C^2(\Omega)$ გადაადგილების ვექტორის კომპონენტები (გადაადგილებები);

შენიშვნა: გამოყენებულია აინშტაინის ინდექსები, რომლებიც გულისხმობს შემდეგ შეთანხმებებს:

1. თუ რაიმე ინდექსი ერთწევრში ორჯერ გვხვდება, ვგულისხმობთ, რომ ხდება აჯამვა მის მიმართ ინდექსის ცვლილების სიმრავლეზე (ლათინური არამთავრული ინდექსები იღებენ მნიშვნელობას 1,2,3, ხოლო ბერძნული კი 1,2);
2. მძიმის შემდეგ ინდექსი მიუთითებს კერძო წარმოებულზე შესაბამისი ცვლადით (დეკარტის $Ox_1x_2x_3$ სისტემაში). (ქვემოთ ყველგან ვიგულისხმებთ, რომ წარმოებულები არის უწყვეტი, თუ არ იქნება სხვა მინიშნება გაკეთებული);
3. სიმბოლოების ზემოთ დაწერილი წერტილები მიუთითებს დროითი t ცვლადით წარმოებულს .

კინემატიკური დამოკიდებულებები (გომეტრიულად წრფივი შემთხვევა)²

$$e_{ij} = \frac{1}{2} (u_{i,j} + u_{j,i}) \quad i, j = \overline{1, 3} \quad (1.1.2)$$

კონსტიტუციური დამოკიდებულებები³

$$X_{ji} = X_{ij} = \varphi_0 \delta_{ij} + \varphi_1 e_{ji} + \varphi_2 e_{ik} e_{kj} \quad i, j, k = \overline{1, 3} \quad (1.1.3)$$

სადაც $e_{ij} \in C^1(\Omega)$ არის დეფორმაციის ტენზორის კომპონენტები; φ_i , ($i = \overline{1, 3}$) კოეფიციენტები დეფორმაციის ტენზორის მთავარ $(\theta_1, \theta_2, \theta_3)$ ინვარიანტებზეა დამოკიდებული, რომლებიც თავის მხრივ არის

² გადავადებულია $u_{k,i} u_{k,j}$ არაწრფივი წევრი

³ იხ. C.Truesdell, A First Course in Relational Continuum Mechanics, ციტირებული ლიტერატურა [25]

t -ს ფუნქციას, ზოგად არასტაციონალურ შემთხვევაში;

$$\theta_1 := e_{ii},$$

$$\theta_2 := \begin{vmatrix} e_{22} & e_{23} \\ e_{32} & e_{33} \end{vmatrix} + \begin{vmatrix} e_{11} & e_{13} \\ e_{31} & e_{33} \end{vmatrix} + \begin{vmatrix} e_{11} & e_{12} \\ e_{21} & e_{22} \end{vmatrix}$$

$$\theta_3 := \begin{vmatrix} e_{11} & e_{12} & e_{13} \\ e_{21} & e_{22} & e_{23} \\ e_{31} & e_{32} & e_{33} \end{vmatrix}$$

რომელიც ტოლფასია

$$\theta_1 = e_1 + e_2 + e_3,$$

$$\theta_2 = e_1 e_2 + e_1 e_3 + e_3 e_2,$$

$$\theta_3 = e_1 e_2 e_3.$$

სადაც e_1, e_2, e_3 არის $e^3 - \theta_1 e^2 + \theta_2 e - \theta_3 = 0$ განტოლების ამონახსნი.⁴

ი.ვეკუას რედუქციის მეთოდის გამოსაყენებლად საჭიროა, (1.1.1) განტოლების კოეფიციენტები არ იყოს დამოკიდებული x_3 ცვლადზე.

საწყის-სასაზღვრო პირობები აქ დაისმის, ისეთივე სახით, როგორც წრფივად-დრეკადი მასალების შემთხვევაში. განვიხილოთ დინამიკის შერეული ამოცანები კოშის საწყისი პირობით.

ვთქვათ, მოცემულია სხეულის ზედაპირზე მოქმედი გარე ძაბვები, რომლებიც აკმაყოფილებენ (1.1.1) და (1.1.2) განტოლებათა სისტემას Ω არეში, და ასევე მოცემულია საზღვრის წერტილთა გადაადგილებები (დირიხლეს ამოცანა)

$$\begin{aligned} u_i|_{\Gamma_0} &= f_i & \Gamma_0 - \text{ზე,} \\ X_{ij} n_j|_{\Gamma_1} &= g_i & \Gamma_1 - \text{ზე,} \quad \partial\Omega = \overline{\Gamma_0} \cup \Gamma_1, \quad i = \overline{1,3}, \end{aligned} \quad (1.1.4)$$

კოშის საწყისი პირობა:

$$u(x, 0) = u^0(x), \quad \dot{u}(x, 0) = u^1(x), \quad x \in \Omega \quad (1.1.5)$$

⁴ იხ. გ.ჯაიანი, უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური მოდელები, გვ.76,, ციტირებული ლიტერატურა [26]

$\vec{n} := (n_1, n_2, n_3)$ არის $\partial\Omega$ გარე ერთეულოვანი ნორმალური ვექტორი. (f_1, f_2, f_3) და (g_1, g_2, g_3) არის მოცემული გადაადგილების და ძაბვის ვექტორი, ხოლო u^0 და u^1 არის საწყისი გადაადგილების და სინქარის ვექტორი.


1.2 სხეულის(გარემოს) გეომეტრია

სხეულს, რომელიც ზემოდან და ქვემოდან შემოსაზღვრულია ზედაპირებით:


$$x_3 = \overset{(+)}{h}(x_1, x_2) \in C^2(\omega) \text{ და } x_3 = \overset{(-)}{h}(x_1, x_2) \in C^2(\omega), \quad (x_1, x_2) \in \omega.$$

ხოლო გვერდიდან ცილინდრული ზედაპირით x_3 ღერძის პარალელური მსახველით, პრიზმული გარსი ეწოდება.(იხ. ნახ. 1)


ω არის Ω -ს პროექცია Ox_1x_2 სიბრტყეზე, როცა $x_3 = 0$.



ნახ. 1: მუდმივი სისქის პრიზმული გარსი, $\partial\Omega$ ლიპშიცის საზღვრით



ნახ. 2: წამახვილებული პრიზმული გარსი ნახევარწრეწირის პროექციით. $\partial\Omega$ ლიპშიცის საზღვრით.



ნახ. 3: წამახვილებული ფირფიტა, მჭრელი (ბასრი) γ_1 და ბლაგვი γ_2 პირით, $\gamma^0 := \gamma_1 \cup \gamma_2$. $\partial\Omega$ ლიპშიცის საზღვრით

$$2h(x_1, x_2) := \overset{(+)}{h}(x_1, x_2) - \overset{(-)}{h}(x_1, x_2) > 0, \quad (x_1, x_2) \in \omega,$$

არის პრიზმული გარსის სისქე. $\partial\Omega$ -ს ნაწილს, სადაც $2h = 0$, ე.ი როცა სისქე აღარ აქვს წამახვილებული პირი ეწოდება. თუ $\partial\Omega$ ნაწილი გლუვია - ბლაგვი.(იხ. ნახ. 2, ნახ. 3).

ვთქვათ,


$$2\tilde{h}(x_1, x_2) := \overset{(+)}{h}(x_1, x_2) + \overset{(-)}{h}(x_1, x_2), \quad (x_1, x_2) \in \omega.$$

სიმეტრიული პრიზმული გარსის შემთხვევაში, ე.ი როცა


$$\overset{(-)}{h}(x_1, x_2) = -\overset{(+)}{h}(x_1, x_2)$$

ცხადია

$$2\tilde{h}(x_1, x_2) \equiv 0, \quad (x_1, x_2) \in \omega.$$



ნახ. 4: პრიზმული და სტანდარტული გარსების კვეთების შედარება



ნახ. 5: პრიზმული(მარცხნივ) და სტანდარტული გარსების კვეთები, ერთი და იგივე შუა ზედაპირით

განსხვავება მუდმივი სისქის პრიზმულ გარსსა და მუდმივი სისქის სტანდარტულ გარსს შორის ნაჩვენებია ნახ.4-სა და ნახ.5-ზე, სადაც მუდმივი სისქის პრიზმული გარსის კვეთები მის პროექციასთან და მუდმივი სისქის სტანდარტული გარსის შუა ზედაპირით მოცემულია წითელ და მწვანე ფერებში, შესაბამისად საერთო ნაწილები ლურჯით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტანდარტული გარსის გვერდითი საზღვარი ორთოგონალურია გარსის "შუა ზედაპირის" , ხოლო პრიზმული გარსის გვერდითი საზღვარი ორთოგონალურია პრიზმული გარსის პროექციის $x_3 = 0$ სიბრტყეზე. (იხ. ნახ.4).

კერძოდ, ვთქვათ ω არის არე, შემოსაზღვრული საკმარისად გლუვი რკალით $(\partial\omega \setminus \overline{\gamma^0})$, რომელიც განთავსებულია $x_2 > 0$ ნახევარსიბრტყეში და x_1 -ღერძის $\overline{\gamma^0}$ სეგმენტზე. (იხ. ნახ.2, ნახ.3) სისქით

$$2h(x_1, x_2) = 2h_0 x_2^\kappa, \quad h_0, \kappa = \text{const} > 0$$


რაც იგივეა

$$\overset{(\pm)}{h}(x_1, x_2) = \overset{(\pm)}{h_0} x_2^\kappa, \quad \overset{(\pm)}{h_0} = \text{const}, \quad \overset{(+)}{h_0} > \overset{(-)}{h_0}, \quad 2h_0 := \overset{(+)}{h_0} - \overset{(-)}{h_0}$$


განვიხილოთ, ბლავი ზედაპირისთვის $\kappa < 1$ და წამახვილებული ზედაპირისთვის $\kappa \geq 1$.

ნახ. 6-20 (φ არის მახვილი კუთხე T და T მხებებს შორის, ν არის შიგა ნორმალის O -დან $\partial\omega$ -სკენ). ვაჩვენოთ, რამდენიმე დამახასიათებელი (ტიპიური) შემთხვევები წამახვილებული პრიზმული გარსების.


პირველ რიგში, განვიხილავთ ω დადებითი სისქის ზოგად შემთხვევას. ე.ი პრიზმულ გარსს არ აქვს წამახვილებული კიდეები.




ნახ. 6: ბლაგვად წამახვილებული პრიზმული გარსის განივმკვეთი ($\hat{\varphi} = \frac{\pi}{2}$) ლიპშიცის საზღვრით




ნახ. 7: ბლაგვად წამახვილებული პრიზმული გარსის განივმკვეთი ($\hat{\varphi} \in]0, \frac{\pi}{2}[$) ლიპშიცის საზღვრით




ნახ. 8: ბლაგვად წამახვილებული პრიზმული გარსის განივმკვეთი ($\hat{\varphi} = 0$) ლიპშიცის საზღვრით




ნახ. 9: ბლაგვად წამახვილებული ფირფიტის მკვეთი ($\hat{\varphi} = \pi$) ლიპშიცის საზღვრით




ნახ. 10: ბლაგვად წამახვილებული პრიზმული გარსის მკვეთი ($\hat{\varphi} = \frac{\pi}{2}$) ლიპშიცის საზღვრით




ნახ. 11: ბლაგვად წამახვილებული პრიზმული გარსის განივმკვეთი ($\hat{\varphi} \in]\frac{\pi}{2}, \pi[$) ლიპშიცის საზღვრით




ნახ. 12: $\hat{\varphi} = \pi$




ნახ. 13: სოლისებრი, $\hat{\varphi} \in]0, \pi[$




ნახ. 14: $\hat{\varphi} = 0$




ნახ. 15: $\frac{\pi}{2} < \hat{\varphi} < \pi$




ნახ. 16: $\frac{\pi}{2} < \hat{\varphi} < \pi$




ნახ. 17: $\hat{\varphi} = \frac{\pi}{2}$



ნახ. 18: $0 < \hat{\varphi} < \frac{\pi}{2}$



ნახ. 19: $0 < \hat{\varphi} < \frac{\pi}{2}$



ნახ. 20: $0 < \hat{\varphi} < \pi$

1.3 მათემატიკური მომენტები⁵

ვთქვათ $f(x_1, x_2, x_3)$ მოცემული ფუნქციაა, რომელსაც $\bar{\Omega}$ -ის შიგა წერტილებში გააჩნია კერძო წარმოებულები, f_r -ით აღვნიშნოთ მისივე r რიგის მომენტი, რომელიც შემდეგნაირად განიშარტება

$$f_r(x_1, x_2) := \int_{h^{(-)}(x_1, x_2)}^{h^{(+)}(x_1, x_2)} f(x_1, x_2, x_3) P_r(ax_3 - b) dx_3 \quad (1.3.1)$$

სადაც

$$\begin{aligned} a(x_1, x_2) &:= \frac{1}{h(x_1, x_2)}, & b(x_1, x_2) &:= \frac{\tilde{h}(x_1, x_2)}{h(x_1, x_2)}, \\ 2h(x_1, x_2) &= h^{(+)}(x_1, x_2) - h^{(-)}(x_1, x_2) > 0, \\ 2\tilde{h}(x_1, x_2) &= h^{(+)}(x_1, x_2) + h^{(-)}(x_1, x_2) > 0, \end{aligned}$$

და

$$P_r(\tau) = \frac{1}{2^r r!} \frac{d^r (\tau^2 - 1)^r}{d\tau^r}, \quad r = 0, 1, \dots$$

r რიგის ლეჟანდრის პოლინომებია, რომლებიც ორთოგონალურია $[-1, 1]$ სეგმენტზე.

$$\int_{-1}^{+1} P_m(\tau) P_n(\tau) d\tau = \frac{2}{2m+1} \delta_{mn}$$

აქედან, ჩასმით

$$\tau = ax_3 - b = \frac{2}{h^{(+)}(x_1, x_2) - h^{(-)}(x_1, x_2)} x_3 - \frac{h^{(+)}(x_1, x_2) + h^{(-)}(x_1, x_2)}{h^{(+)}(x_1, x_2) - h^{(-)}(x_1, x_2)},$$

გვაქვს

$$\left(m + \frac{1}{2}\right) a \int_{h^{(-)}(x_1, x_2)}^{h^{(+)}(x_1, x_2)} P_m(ax_3 - b) P_n(ax_3 - b) dx_3 = \delta_{mn}$$

ცნობილი ნაწილობითი ინტეგრების ფორმულის გამოყენებით (x_3 -ის მიმართ) და დიფერენციალი ინტეგრალის პარამეტრის მიმართ დამოკიდებულია (x_α), თუ გავითვალისწინებთ, რომ $P_r(1) = 1, P_r(-1) = (-1)^r$, დავასკვნით, რომ

⁵ მკითხველისათვის მოხერხებული პირობების შესაქმნელად აქ, როგორც დამხმარე მასალა, სრულად მოგვეყავს § 10 გ.ჯაიანი[27]-დან (იხ. გვ. 77-80, სადაც რეკურენტული ფორმულებიდან მიღებული ი.ვეკუას უსასრულო ჯამის სახით ჩაწერილი ფორმულები შეცვლილია სასრული ფორმის ცხადი ფორმულებით), იხ. აგრეთვე I.Vekua [1], I.Vekua [28],

$$\begin{aligned}
\int_{h(x_1, x_2)}^{(+)} P_r(ax_3 - b) f_{,3} dx_3 &= -a \int_{h(x_1, x_2)}^{(+)} P'_r(ax_3 - b) f dx_3 + f^{(+)} - (-1)^r f^{(-)} \\
\int_{h(x_1, x_2)}^{(+)} P_r(ax_3 - b) f_{,\alpha} dx_3 &= f_{r,\alpha} - f^{(+)(+)} h_{,\alpha} + (-1)^r f^{(-)(-)} h_{,\alpha} \\
&\quad - \int_{h(x_1, x_2)}^{(+)} P'_r(ax_3 - b) (a_{,\alpha} x_3 - b_{,\alpha}) f dx_3, \quad \alpha = 1, 2,
\end{aligned} \tag{1.3.2}$$

სადაც $(\cdot)'$ -ში იგულისხმება $(ax_3 - b)$ არგუმენტის მიმართ დიფერენცირება, ხოლო (\cdot) , - ვგულისხმობთ კერძო წარმოებულს შესაბამისი ცვლადებით, $f^{(\pm)} := f \left[x_1, x_2, h^{(\pm)}(x_1, x_2) \right]$. ლეჟანდრის მრავალწევრების თეორიიდან შემდეგი მიმართებების გამოყენებით

$$P'_r(\tau) = \sum_{s=0}^r (2s+1) \frac{1 - (-1)^{r+s}}{2} P_s(\tau) \quad 6 \tag{1.3.3}$$

$$\tau P'_r(\tau) = r P_r(\tau) + P'_{r-1}(\tau) = r P_r(\tau) + \sum_{s=0}^{r-1} (2s+1) \frac{1 + (-1)^{r+s}}{2} P_s(\tau) \quad 7 \tag{1.3.4}$$

იმის გათვალისწინებით, $\frac{a_{,\alpha}}{a} = (\ln a)' = -\frac{h_{,\alpha}}{h}$, $\frac{a_{,\alpha} b}{a} = \tilde{h} a_{,\alpha}$, $b_{,\alpha} = (\tilde{h} a)_{,\alpha}$, მარტივი მისახვედრია, რომ

$$\begin{aligned}
P'_r(ax_3 - b) (a_{,\alpha} x_3 - b_{,\alpha}) &= \frac{a_{,\alpha}}{a} (ax_3 - b) P'_r(ax_3 - b) + \left(\frac{a_{,\alpha} b}{a} - b_{,\alpha} \right) P'_r(ax_3 - b) \\
&= -h_{,\alpha} h^{-1} (ax_3 - b) P'_r(ax_3 - b) - \tilde{h}_{,\alpha} h^{-1} P'_r(ax_3 - b) \\
&= -\overset{r}{a_{\alpha r}} P_r(ax_3 - b) - \sum_{s=0}^{r-1} \overset{r}{\alpha_{\alpha s}} P_s(ax_3 - b) \quad 8
\end{aligned}$$

⁶ჯამი \sum ერთი და იგივე შედეგს იძლევა $r-1$ და r შემთხვევაში, რადგან ბოლო წევრი ნულის ტოლია.

⁷ჯამი \sum ერთი და იგივე შედეგს იძლევა $r-2$ და $r-1$ შემთხვევაში, რადგან ბოლო წევრი ნულის ტოლია.

სადგ

$$a_{\alpha r} := r \frac{h, \alpha}{h}, \quad a_{\alpha s} := (2s + 1) \frac{h, \alpha^{(+)} - (-1)^{r+s} h, \alpha^{(-)}}{2h}, \quad s \neq r.$$

(1.3.1) და (1.3.2)-დან გვაქვს

$$\begin{aligned} & \int_{h^{(-)}(x_1, x_2)}^{h^{(+)}(x_1, x_2)} P_r(ax_3 - b) f, \alpha dx_3 \\ &= f_{r, \alpha} + \sum_{s=0}^r a_{\alpha s} f_{s-} \frac{h, \alpha^{(+)} f_{s-}^{(+)} + (-1)^r f_{s-}^{(-)}}{h, \alpha}, \quad \alpha = 1, 2, \end{aligned} \quad (1.3.5)$$

$$\int_{h^{(-)}(x_1, x_2)}^{h^{(+)}(x_1, x_2)} P_r(ax_3 - b) f, 3 dx_3 = \sum_{s=0}^r a_{3s}^r f_{s+} \frac{h, \alpha^{(+)} f_{s+}^{(+)} - (-1)^r f_{s+}^{(-)}}{h, \alpha} \quad (1.3.6)$$

შესაბამისად.

$$a_{3s}^r := -(2s + 1) \frac{1 - (-1)^{s+r}}{2h}$$

ვთქვათ

$$f(x_1, x_2, x_3) = \sum_{s=0}^{\infty} a \left(s + \frac{1}{2} \right) f_s(x_1, x_2) P_s(ax_3 - b) \quad (1.3.7)$$

მაშინ

⁸ აქედან

$$\begin{aligned} & \sum_{s=0}^{r-1} (2s + 1) \left[\frac{h, \alpha^{(+)} + (-1)^{r+s} h, \alpha^{(-)}}{2h} + \frac{\tilde{h}, \alpha^{(-)} - (-1)^{r+s} \tilde{h}, \alpha^{(+)}}{2h} \right] P_s(ax_3 - b) \\ &= \sum_{s=0}^{r-1} \frac{(2s + 1)}{2h} \left(\frac{h, \alpha^{(+)} - h, \alpha^{(-)} + h, \alpha^{(+)} (-1)^{r+s} - h, \alpha^{(-)} (-1)^{r+s}}{2} \right. \\ & \quad \left. + \frac{h, \alpha^{(+)} + h, \alpha^{(-)} - h, \alpha^{(+)} (-1)^{r+s} - h, \alpha^{(-)} (-1)^{r+s}}{2} \right) P_s(ax_3 - b) \\ &= \sum_{s=0}^{r-1} (2s + 1) \frac{h, \alpha^{(+)} - (-1)^{r+s} h, \alpha^{(-)}}{2h} P_s(ax_3 - b) \end{aligned}$$

$$\begin{aligned}
f^{(\pm)} &:= f\left(x_1, x_2, \overset{(\pm)}{h}(x_1, x_2)\right) = \sum_{s=0}^{\infty} a\left(s + \frac{1}{2}\right) f_s(\pm 1)^s \\
&= \sum_{s=0}^{\infty} \frac{(\pm 1)^s (2s+1)}{2h} f_s,
\end{aligned} \tag{1.3.8}$$

ახევა

$$f^{(+)} - (-1)^r f^{(-)} = - \sum_{s=0}^{\infty} \overset{r}{a}_{3s} f_s, \tag{1.3.9}$$

$$f^{(+)(+)} \overset{(-)}{h}_{,\alpha} - (-1)^r f^{(-)(-)} \overset{(-)}{h}_{,\alpha} = \sum_{s=0}^{\infty} \overset{r^*}{a}_{\alpha s} f_s, \quad i = \overline{1, 3}, \quad \alpha = 1, 2, \tag{1.3.10}$$

სადაც

$$\overset{r^*}{a}_{\alpha s} = \overset{r}{a}_{\alpha s}, \quad s \neq r, \quad \overset{r^*}{a}_{\alpha r} = (2r+1) \frac{h_{,\alpha}}{h}.$$

ჩავსვათ (1.3.10) და (1.3.9) (1.3.5)-სა და (1.3.6)-ში, მივიღებთ

$$\begin{aligned}
\int_{\overset{(-)}{h}(x_1, x_2)}^{\overset{(+)}{h}(x_1, x_2)} P_r(ax_3 - b) f_{,\alpha} dx_3 &= f_{r,\alpha} + \sum_{s=0}^r \overset{r}{a}_{\alpha s} f_s - \sum_{s=0}^{\infty} \overset{r^*}{a}_{\alpha s} f_s \\
&= f_{r,\alpha} + \sum_{s=r}^{\infty} \overset{r}{b}_{\alpha s} f_s,
\end{aligned} \tag{1.3.11}$$

სადაც

$$\overset{r}{b}_{js} := - \overset{r}{a}_{js}, \quad s > r;$$

$$\overset{r}{b}_{\alpha r} := \overset{r}{a}_{\alpha r} - \overset{r^*}{a}_{\alpha r} = -(r+1) \frac{\overset{(+)}{h}_{,\alpha} - \overset{(-)}{h}_{,\alpha}}{2h} = -(r+1) \frac{h_{\alpha}}{h}, \quad \overset{r}{b}_{3r} = 0$$

და

$$\begin{aligned}
\int_{h(x_1, x_2)}^{(+)} P_r(ax_3 - b) f_{,3} dx_3 &= \sum_{s=0}^r a_{3s} f_s - \sum_{s=0}^{\infty} a_{3s} f_s \\
&= - \sum_{s=r+1}^{\infty} a_{3s} f_s,
\end{aligned} \tag{1.3.12}$$

შესაბამისად.

თუ $f^{(+)}$ და $f^{(-)}$ ცნობილია (წინასწარ განსაზღვრულია), მაშინ (1.3.5) და (1.3.6)-დან თუ გავითვალისწინებთ, რომ

$$n_{\alpha}^{(\pm)} = \frac{\mp h_{,\alpha}^{(\pm)}}{\sqrt{1 + \left(\frac{(\pm)}{h_{,1}}\right)^2 + \left(\frac{(\pm)}{h_{,2}}\right)^2}}, \quad n_3^{(\pm)} = \frac{\pm 1}{\sqrt{1 + \left(\frac{(\pm)}{h_{,1}}\right)^2 + \left(\frac{(\pm)}{h_{,2}}\right)^2}}.$$

ვიღებთ

$$\begin{aligned}
\int_{h(x_1, x_2)}^{(+)} P_r(ax_3 - b) f_{,\alpha} dx_3 &= f_{r,\alpha} + \sum_{s=0}^r a_{\alpha s} f_s \\
+ f^{(+)} n_{\alpha}^{(+)} \sqrt{1 + \left(\frac{(+)}{h_{,1}}\right)^2 + \left(\frac{(+)}{h_{,2}}\right)^2} &+ (-1)^r f^{(-)} n_{\alpha}^{(-)} \sqrt{1 + \left(\frac{(-)}{h_{,1}}\right)^2 + \left(\frac{(-)}{h_{,2}}\right)^2},
\end{aligned} \tag{1.3.13}$$

და

$$\begin{aligned}
\int_{h(x_1, x_2)}^{(-)} P_r(ax_3 - b) f_{,\alpha} dx_3 &= \sum_{s=0}^r a_{\alpha s} f_s \\
+ f^{(+)} n_3^{(+)} \sqrt{1 + \left(\frac{(+)}{h_{,1}}\right)^2 + \left(\frac{(+)}{h_{,2}}\right)^2} &+ (-1)^r f^{(-)} n_3^{(-)} \sqrt{1 + \left(\frac{(-)}{h_{,1}}\right)^2 + \left(\frac{(-)}{h_{,2}}\right)^2},
\end{aligned} \tag{1.3.14}$$

2 იერარქიული მოდელის აგება

2.1 უსასრულო სისტემა

ჩვენ ავსებთ იერარქიულ მოდელს პრიზმული გარსისნაირი $\Omega \in \mathbb{R}^3$ არეებისთვის, $\omega \in \mathbb{R}^2$ არის Ω -ს პროექცია. ვიგულისხმებთ, რომ აქვს $\partial\Omega$ ზოგადად არალიპშიცური⁹ საზღვარი.

r რიგის მომენტები შემდეგი სიდიდეებისთვის განისაზღვრება

$$(u_{ir}, X_{ijr}, e_{ijr})(x_1, x_2, t) := \int_{\frac{(-)}{h}(x_1, x_2)}^{\frac{(+)}{h}(x_1, x_2)} (u_i, X_{ij}, e_{ij})(x_1, x_2, x_3, t) \times P_r(ax_3 - b) dx_3 \quad i, j = \overline{1, 3} \quad (2.1.1)$$

ინტეგრალით, სადაც

$$P_r(ax_3 - b) \left(a(x_1, x_2) := \frac{2}{\frac{(+)}{h} - \frac{(-)}{h}} = \frac{1}{h}, \quad b(x_1, x_2) := \frac{\frac{(+)}{h} + \frac{(-)}{h}}{\frac{(+)}{h} - \frac{(-)}{h}} = \frac{\tilde{h}}{h} \right), \quad r = 0, 1, \dots$$

არის r რიგის ლეჟანდრის¹⁰ პოლინომი.

თუ დავუშვებთ, რომ x_3 ცვლადის მიმართ $X_{ij}, e_{ij}, u_i \in C^2$, მაშინ ფურიე-ლეჟანდრის შემდეგი მწკრივი კრებადია

$$(u_i, X_{ij}, e_{ij})(x_1, x_2, x_3, t) = \sum_{r=0}^{\infty} a \left(r + \frac{1}{2} \right) \times (u_{ir}, X_{ijr}, e_{ijr})(x_1, x_2, t) \times P_r(ax_3 - b) \quad (2.1.2)$$

განსახილველი პრიზმული გარსის ზედა და ქვედა ზედაპირებზე

⁹ $\partial\Omega$ საზღვარს ეწოდება ლიპშიცის საზღვარი, თუ ეს ზედაპირი ლოკალურად აღიწერება ლიპშიცის აზრით უწყვეტი ფუნქციებით, ესე იგი ამ ფუნქციებისთვის არსებობს მუდმივი L რომ ადგილი აქვს

$$|f(x) - f(y)| \leq L|x - y| \quad \text{თუ } x \in R, \quad y \in R.$$

¹⁰ ლეჟანდრის პოლინომს აქვს სახე

$$P_n(\tau) = \frac{1}{2^n n!} \frac{d^n (\tau^2 - 1)^n}{d\tau^n}, \quad n = 0, 1, \dots$$

კერძოდ

$$P_0(\tau) = 1, P_1(\tau) = \tau, P_2(\tau) = \frac{3\tau^2 - 1}{2}$$

$$\begin{aligned} u_i^{(\pm)} &:= u_i \left(x_1, x_2, \frac{(\pm)}{h} (x_1, x_2), t \right) = \sum_{s=0}^{\infty} a \left(s + \frac{1}{2} \right) u_{is} (\pm 1)^s \\ &= \sum_{s=0}^{\infty} \frac{(\pm 1)^s (2s+1)}{2h} u_{is} \end{aligned}$$

საიდანბნე

$$u_i^{(+)} - (-1)^r u_i^{(-)} = - \sum_{s=0}^{\infty} a_{3s}^r u_{is}, \quad i = \overline{1,3}$$

$$u_i^{(+)} h_{,\alpha}^{(+)} - (-1)^r u_i^{(-)} h_{,\alpha}^{(-)} = \sum_{s=0}^{\infty} a_{\alpha s}^r u_{is} \quad i = \overline{1,3}, \quad \alpha = 1, 2$$

სადაც

$$\begin{aligned} a_{\alpha s}^* &= a_{\alpha s}^r, \quad s \neq r, \quad a_{\alpha r}^* = (2r+1) \frac{h, \alpha}{h} \\ a_{\alpha s}^r &:= (2s+1) \frac{h_{,\alpha}^{(+)} - (-1)^{r+s} h_{,\alpha}^{(-)}}{2h}, \quad s \neq r, \quad a_{\alpha r}^r := r \frac{h, \alpha}{h}, \\ a_{3s}^r &:= -(2s+1) \frac{1 - (-1)^{s+r}}{2h} \end{aligned}$$

$$\left(b_{js}^r := -a_{js}^r, \quad s > r; \quad b_{js}^r = 0, \quad s < r; \quad b_{\alpha r}^r := a_{\alpha r}^r - a_{\alpha r}^* = -(r+1) \frac{h_{,\alpha}^{(+)} - h_{,\alpha}^{(-)}}{2h}, \quad b_{3r}^r = 0 \right).$$

(1.3.5), (1.3.6), ფორმულების გამოყენებით

$$\int_{h(x_1, x_2)}^{h(x_1, x_2)} P_r(ax_3 - b) f_{,\alpha} dx_3 = f_{r,\alpha} + \sum_{s=0}^r a_{as}^r f_s - f_{h,\alpha}^{(+)(+)} + (-1)^r f_{h,\alpha}^{(-)(-)}, \quad \alpha = 1, 2,$$

$$\int_{h(x_1, x_2)}^{h(x_1, x_2)} P_r(ax_3 - b) f_{,3} dx_3 = \sum_{s=0}^r a_{3s}^r f_s + f_{h,3}^{(+)} - (-1)^r f_{h,3}^{(-)}$$

(1.1.1) - განტოლების გამრავლებით $P_r(ax_3 - b)$ -ზე $r = 0, 1, \dots$, და ინტეგრებით $h_{h(x_1, x_2)}^{(-)}$ და $h_{h(x_1, x_2)}^{(+)}$

საზღვრებში, სისქის ცვლადის x_3 მიმართ, მივიღებთ შემდეგ ფორმულას ω -ში :

(1.3.13) და (1.3.14) ფორმულაში f -ის ნაცვლად, თუ ავიღებთ $X_{\alpha i}$ და X_{3i} , მივიღებთ

$$X_{\alpha ir, \alpha} + \sum_{s=0}^r a_{js}^r X_{jis} + \bar{X}_i = \rho \frac{\partial^2 u_{ir}}{\partial t^2}, \quad i = \overline{1, 3}, \quad r = 0, 1 \quad (2.1.3)$$

სადაც

$$\begin{aligned} \bar{X}_j &:= X_{3j}^{(+)} - X_{\alpha j}^{(+)} h_{, \alpha}^{(+)} + (-1)^r \left[-X_{3j}^{(-)} + X_{\alpha j}^{(-)} h_{, \alpha}^{(-)} \right] + \Phi_{jr} \\ &= X_{ji}^{(+)} \sqrt{1 + \left(h_{, 1}^{(+)} \right)^2 + \left(h_{, 2}^{(+)} \right)^2} + (-1)^r X_{ji}^{(-)} \sqrt{1 + \left(h_{, 1}^{(-)} \right)^2 + \left(h_{, 2}^{(-)} \right)^2} + \Phi_{jr}, \\ & \qquad \qquad \qquad j = \overline{1, 3}, \quad r = 0, 1, 2, \dots \end{aligned}$$

$X^{(+)}$ და $X^{(-)}$ არის ძაბვის ვექტორის კომპონენტები, რომელიც მოქმედებს $\binom{+}{n}$ და $\binom{-}{n}$ ნორმალეების მქონე ზედა და ქვედა ზედაპირებზე.

ხოლო (1.3.7) და (1.3.8) ფორმულაში f -ის ნაცვლად u_i -ის ადებით, ფურიე-ლეჟანდრის გამოსახულებებს ზედა და ქვედა ზედაპირისთვის ექნება შემდეგი სახე

$$u_i^{(\pm)} = \sum_{s=0}^{\infty} \frac{(\pm 1)^s (2s+1)}{2h} u_{is}, \quad i = \overline{1, 3},$$

(1.3.11), (1.3.12)-ის გამოყენებით (1.1.2) ჩაიწერება შემდეგნაირად

$$e_{ijr} = \frac{1}{2} (u_{ir, j} + u_{jr, i}) + \frac{1}{2} \sum_{s=r}^{\infty} b_{is}^r u_{js} + \frac{1}{2} \sum_{s=r}^{\infty} b_{js}^r u_{is}, \quad i, j = \overline{1, 3}, \quad r = 0, 1, \dots, \quad (2.1.4)$$

$$\theta_{1r} := e_{iir} = u_{\gamma r, \gamma} + \sum_{s=r}^{\infty} b_{ks}^r u_{ks}, \quad \gamma = 1, 2 \quad r = 0, 1, \dots \quad (2.1.5)$$

იმის გათვალისწინებით, რომ

$$b_{3r}^r = 0, \quad h^{r+1} (h^{-r-1}), \quad \alpha = b_{\alpha r}^r, \quad \alpha = 1, 2,$$

(2.1.4) შეგვიძლია ჩავწეროთ v_{ir} -ის ტერმინებში

$$v_{ir} := h^{-r-1} u_{ir}$$

როგორც

$$e_{ijr} = \frac{1}{2}h^{r+1}(v_{ir,j} + v_{jr,i}) + \frac{1}{2} \sum_{s=r+1}^{\infty} h^{s+1} \left(b_{is}^r v_{js} + b_{js}^r v_{is} \right), \quad i, j = \overline{1,3}, r = 0, 1, \dots, \quad (2.1.6)$$

$$\theta_{1r} := e_{iir} = h^{r+1}v_{\gamma r, \gamma} + \sum_{s=r+1}^{\infty} h^{s+1} b_{ks}^r v_{ks}, \quad r = 0, 1, \dots \quad (2.1.7)$$

განვიხილოთ რეინერის დრეკადი მასალის განტოლების გაწრფივებული ფორმა, ამისათვის, პირველ რიგში, გავშალოთ ტეილორის მწკრივად φ_0, φ_1 და φ_2 კოეფიციენტები $\theta_0 = (0, 0, 0)$ წერტილის მიდამოში და მოვჭრათ პირველ რიგამდე ჩათვლით. გვექნება

$$\varphi_0(\theta_1, \theta_2, \theta_3) := \varphi_0(\theta_0) + \frac{\partial \varphi_0}{\partial \theta_1}(\theta_0)\theta_1 + \frac{\partial \varphi_0}{\partial \theta_2}(\theta_0)\theta_2 + \frac{\partial \varphi_0}{\partial \theta_3}(\theta_0)\theta_3$$

$$\varphi_0(\theta_1, \theta_2, \theta_3) = a_0 + a_1\theta_1 + a_2\theta_2 + a_3\theta_3$$

სადაც

$$a_0 = \varphi_0(\theta_0), \quad a_1 = \frac{\partial \varphi_0}{\partial \theta_1}(\theta_0), \quad a_2 = \frac{\partial \varphi_0}{\partial \theta_2}(\theta_0), \quad a_3 = \frac{\partial \varphi_0}{\partial \theta_3}(\theta_0)$$

$$\varphi_1(\theta_1, \theta_2, \theta_3) := \varphi_1(\theta_0) + \frac{\partial \varphi_1}{\partial \theta_1}(\theta_0)\theta_1 + \frac{\partial \varphi_1}{\partial \theta_2}(\theta_0)\theta_2 + \frac{\partial \varphi_1}{\partial \theta_3}(\theta_0)\theta_3$$

$$\varphi_1(\theta_1, \theta_2, \theta_3) = b_0 + b_1\theta_1 + b_2\theta_2 + b_3\theta_3$$

სადაც

$$b_0 = \varphi_1(\theta_0), \quad b_1 = \frac{\partial \varphi_1}{\partial \theta_1}(\theta_0), \quad b_2 = \frac{\partial \varphi_1}{\partial \theta_2}(\theta_0), \quad b_3 = \frac{\partial \varphi_1}{\partial \theta_3}(\theta_0)$$

$$\varphi_2(\theta_1, \theta_2, \theta_3) := \varphi_2(\theta_0) + \frac{\partial \varphi_2}{\partial \theta_1}(\theta_0)\theta_1 + \frac{\partial \varphi_2}{\partial \theta_2}(\theta_0)\theta_2 + \frac{\partial \varphi_2}{\partial \theta_3}(\theta_0)\theta_3$$

$$\varphi_2(\theta_1, \theta_2, \theta_3) = c_0 + c_1\theta_1 + c_2\theta_2 + c_3\theta_3$$

სადაც

$$c_0 = \varphi_2(\theta_0), \quad c_1 = \frac{\partial \varphi_2}{\partial \theta_1}(\theta_0), \quad c_2 = \frac{\partial \varphi_2}{\partial \theta_2}(\theta_0), \quad c_3 = \frac{\partial \varphi_2}{\partial \theta_3}(\theta_0)$$

დეფორმაციის ტენზორის ინვარიანტებისა და რეინერის დრეკადი მასალის განტოლების ფორმის

გათვალისწინებით, წრფივი ნაწილის გამოსაყოფად აუცილებელია, განვიხილოთ შემთხვევა, როცა

$$a_2 = a_3 = 0; \quad b_1 = b_2 = b_3 = 0; \quad c_0 = c_1 = c_2 = c_3 = 0$$

საბოლოოდ, მივიღებთ შემდეგ გაწრფივებულ კონსტიტუციურ დამოკიდებულებებს

$$X_{ij}(x_1, x_2, x_3, t) = (a_0 + a_1\theta_1(x_1, x_2, x_3, t))\delta_{ij} + b_0e_{ij}(x_1, x_2, x_3, t) \quad i, j = \overline{1, 3}. \quad (2.1.8)$$

შევნიშნოთ, რომ თუ $a_0 = 0$, $a_1 = \lambda$ და $b_0 = 2\mu$ მივიღებთ დრეკადობის კლასიკურ თეორიის

$$X_{ij} = \lambda\theta_1\delta_{ij} + 2\mu e_{ij}$$

ჰუკის განზოგადებულ კანონს იზოტროპულ შემთხვევაში).

მომენტებზე გადასასვლელად (2.1.8) გავამრავლოთ ლეჟანდრის $P_r(ax_3 - b)$ პოლინომზე და ვაინტეგრროთ x_3 -ის მიმართ $h^{(-)}(x_1, x_2)$ -დან $h^{(+)}(x_1, x_2)$ -მდე. მივიღებთ

$$X_{ijr}(x_1, x_2, t) = (0 + a_1\theta_{1r}(x_1, x_2, t))\delta_{ij} + b_0e_{ijr}(x_1, x_2, t) \quad i, j = \overline{1, 3}, r = 1, 2, \dots \quad (2.1.9)$$

$$X_{ij0}(x_1, x_2, t) = (2a_0h + a_1\theta_{10}(x_1, x_2, t))\delta_{ij} + b_0e_{ij0}(x_1, x_2, t), i, j = 1, 2, 3 \quad (2.1.10)$$

რადგან

$$\int_{h^{(-)}(x_1, x_2)}^{h^{(+)}(x_1, x_2)} a_0 P_r(ax_3 - b) dx_3 = a_0 \int_{h^{(-)}(x_1, x_2)}^{h^{(+)}(x_1, x_2)} P_0(ax_3 - b) P_r(ax_3 - b) dx_3 = 0, \quad r = 1, 2, \dots \quad (2.1.11)$$

და

$$\int_{h^{(-)}(x_1, x_2)}^{h^{(+)}(x_1, x_2)} a_0 P_0(ax_3 - b) dx_3 = 2a_0h \quad (2.1.12)$$

(2.1.4)-ის და (2.1.5) გამოყენებით გვექნება,

$$X_{ijr} = \left(a_1 u_{\gamma r, \gamma} + a_1 \sum_{s=r}^{\infty} {}^r b_{ks} u_{ks} \right) \delta_{ij} + \frac{1}{2} b_0 (u_{ir,j} + u_{jr,i}) + \frac{1}{2} b_0 \sum_{s=r}^{\infty} \left({}^r b_{is} u_{js} + {}^r b_{js} u_{is} \right) \quad (2.1.13)$$

$i, j = \overline{1, 3}, r = 1, 2, \dots$

$$X_{ij0} = \left(2a_0 h + a_1 u_{\gamma 0, \gamma} + a_1 \sum_{s=0}^{\infty} {}^0 b_{ks} u_{ks} \right) \delta_{ij} + \frac{1}{2} b_0 (u_{i0,j} + u_{j0,i}) + \frac{1}{2} b_0 \sum_{s=0}^{\infty} \left({}^0 b_{is} u_{js} + {}^0 b_{js} u_{is} \right), \quad i, j = 1, 2, 3 \quad (2.1.14)$$

თუ აღვნიშნავთ

$$v_r := \frac{u_r}{h^{r+1}}$$

v_{ir} -ის ტერმინებში გადაიწერება როგორც

$$X_{ijr} = \left(a_1 h^{r+1} v_{\gamma r, \gamma} + a_1 \sum_{s=r+1}^{\infty} h^{s+1} {}^r b_{ks} v_{ks} \right) \delta_{ij} + \frac{1}{2} b_0 h^{r+1} (v_{ir,j} + v_{jr,i}) + \frac{1}{2} b_0 \sum_{s=r+1}^{\infty} h^{s+1} \left({}^r b_{is} v_{js} + {}^r b_{js} v_{is} \right) \quad (2.1.15)$$

$i, j = \overline{1, 3}, r = 1, 2, \dots$

$$X_{ij0} = \left(2a_0 h + a_1 h v_{\gamma 0, \gamma} + a_1 \sum_{s=1}^{\infty} h^{s+1} {}^0 b_{ks} v_{ks} \right) \delta_{ij} + \frac{1}{2} b_0 h (v_{i0,j} + v_{j0,i}) + \frac{1}{2} b_0 \sum_{s=1}^{\infty} h \left({}^0 b_{is} v_{js} + {}^0 b_{js} v_{is} \right) \quad (2.1.16)$$

$i, j = \overline{1, 3}$

ამგვარად, მომენტებზე გადასვლის შემდეგ მივიღებთ (1.1.1),(1.1.2),(2.1.8) სისტემის ეკვივალენტურ (2.1.3),(2.1.4)

(2.1.13),(2.1.14) უსასრულო სისტემას X_{ijr}, e_{ijr}, u_{ir} -ის r რიგის მომენტების მიმართ. (2.1.13)-ის და

(2.1.14)-ის ჩასმით (2.1.3)-ში მივიღებთ შემდეგ ეკვივალენტურ უსასრულო r რიგის მემენტების სისტემას u_{ir} -ის მიმართ

